№ 37 თებერვალი 18, ხუთშაბათი 1888 თებერვალი 18, ხუთშაბათი № 37

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 70 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდდიელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877 1888

თავადნი ლევან ლუარსაბის ძე და არჩილ ლევანის ძე თარხან-მოურავნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი მეუღლისას და მეორე დედისა თვისისა, კნეინა ქეთევან ივანეს ასულის თარხან-მოურავისა, და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის განსვენებაზედ შაბათს, 20 თებერვალს, სოფელს ახალ-ქალაქში. მიცვალებულს დაასაფლავებენ სოფელ ერთაწმინდის ეკკლესიაში. (2—1)

## ქართული თეატრი

პარასკევს, 19 თებერვალს,

«ქართულ დრამატიულ საზოგადოების» დასის მიერ ბ-ნ მ. ზავადსკის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

**მზის დაბნელება**

**საქართველოში**

კომედია 3 მოქმედებად, ზ. ნ. ანტონოვისა.

II

**ბნელს ოთახში**

ვოდევილი ერთს მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვი-აბაშიძისა, ლეონიძისა, ჩერქეზიშვილისა და ბბ. აბაშიძე, მაქსიმიძე, ზავადსკი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს $7^1/_2$ საათზედ.

**ანონსი:** ორშაბათს, 23 თებერვალს, დანიშნულია ბენეფისი მ. მ. საფაროვი-აბაშიძისა და წარმოდგენილი იქნება «ორი ობოლი».

ტფილისი, 17 თებერვალი

ამიერ-კავკასიისათვის ერთი მეტის-მეტად ფრიად საყურადღებო საქმეა, რომელიც დიდი ხანია აფიქრებს აქაურს მთავრობას და რომელსაც დღეს აქამომდე ბოლო არ უჩანს. ეს საქმე დასახლებაა შავი-ზღვის პირებისა, საიდამაც წინანდელი მკვიდრნი გაიკრიბნენ და ადგილები მას შემდეგ დაცარიელდა. ამ დასახლებაზედ დიდი ხანია ჰზრუნავს და ჰფიქრობს მთავრობა და დღეს აქამომდე გათავებული არ არის,—რა თესლის ხალხს გაუხსნას გზა ამ დასახლებისათვის. ბევრი აზრი გამოითქვა ამ საგანზედ, ბევრი პროექტი დაიწერა და არც ერთმა იმოდენად არ იხეირა, რომ საქმეს ბოლო მოჰღებოდა.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ უკანასკნელ ხანებში კამისიაც შესდგა და მიენდო, რომ ამ საგანზედ ყოველივე შესაბამი ცნობა შეეკრიბა და გადაწყვეტილი რამ ეთქვა. კამისიამ, სამის საზოგადოების წარმომადგენელთაგან შემდგარმა, თავისი აზრი უკვე გამოსთქვა და იმაზედ დაჰდგა, რომ ყველაზედ უფრო სახეირო ყაზახები დაასახლოს შავი-ზღვის პირებზე მთავრობამა და ყაზახების წეს-წყობილება სავეძვლად დაუდვას ახალ-შენებსაო.

იმ საზოგადოების კრებაში, რომელსაც ეძახიან «Императорское вольно-экономическое общество», 4-ს თებერვალს დიდი ბაასი გამართულა ამ საგანზედ. თავმჯდომარეს კრებისას ბ-ნს სოვეტოვს, მოუხსენებია რა ისტორია ამ საქმისა და გადაწყვეტილება ზემოხსენებულის კამისიისა, ნება მიუცია ამ საგანზედ ლაპარაკისა ჯერ ბბ-ნთ დუკმასოვისათვის, იურიევიჩისა და ეროპკინისათვის, როგორც შავი-ზღვის პირებზე ადგილ-მამულის მოღვაწეთათვის.

ბ-ნს დუკმასოვს წაუმძღვარებია რა პოლიტიკური აზრი, უთქვამს, რომ იმ ადგილებზედ უცილობელად და უეჭველად ყაზახები უნდა დაასახლოს მთავრობამაო და მთლად დაუჭერია მხარი ზემოხსენებულ კამისიისათვის. ბ-ნს იურიევიჩს სულ სხვა აზრი წარმოუთქვამს: ყაზახებს არავითარი უნარი არა აქვთ ახალ-შენობის მისიის აღსრულებისათვისაო, იგინი ამისათვის ყოვლად გამოუსადეგნი არიანო, რადგანაც არც ჩვეულება, არც მათის ცხოვრების წეს-წყობილება არ ეშესაბამება ამისთანა კულტურო საქმესაო. შავი-ზღვის პირების ადგილები ჰავით და მიწის მომცემლობით იმისთანანი არიან, რომ ყურძენი, თამბაქო და სხვა ამ გვარი სამეურნო საგანი ჰხეირობსო და ამიტომაც უკეთესი იქნებოდა, რომ მთავრობამ მოიწვიოს დასასახლებლად ქართველები, იმერლები და მეგრელები იმ ადგილებიდამ, საცა ვენახების ხელი იციან და ბერძნები იქიდამ, საცა თამბაქოს მოყვანა გავრცელებულიაო. ბ-ნი ეროპკინი დაეთანხმა ბ-ნს იურიევიჩს, რომ ყაზახები ამ საქმისათვის არვარგანან და დაუმატებია, რომ სხვა რუსებიც ძალიან კარგად გამოდგებიანო. ამას შემდეგ ულაპარაკნია ბ-ნს ეგუნოვს. ამას ვრცლად მოუყვანია ყოველივე, რაც ამ საგანზე ჰო და არა თქმულა ოდესმე. ბოლოს თავის საკუთარი აზრი ასე დაუსკვნია, რომ, რასაკვირველია, თუ სახეში მივიღებთ მარტო პოლიტიკურ საჭიროებასაო, სასურველია აბხაზეთი განსაკუთრებით რუსებით იყოს დასახლებულიო. ხოლო თუ ჰავისა და ეკონომიურის მხრით დავუწყებთ ყურებას ამ საქმეს, ეს აზრი და ნამეტნავად კამისიისა — ყაზახები დავასახლოთ — მცირეოდენს კრიტიკასაც ვერ გაუმაგრდება და ვერ გაუძლებსო. ყაზახების წინააღმდეგ ილაპარაკეს ბევრმა სხვებმაც და სხვათა შორის ბ-ნმა კოტელნიკოვმაცა.

ბ-ნმა ა. ს. ერმოლოვმა, რომელსაც, თუ არა ვცდებით, სახელმწიფოთა ქონების სამინისტროში თვალ-საჩინო ადგილი უჭირავს, შეჰნიშნა, რომ ამ საქმეში ორი აზრია ერთმანერთში არეული და გადაბმულიო: პოლიტიკური და ეკონომიურიო. ამასთან ესეც სათქმელია, რომ პირველს საგანს უპირატესობა და უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევაო. ეგ პოლიტიკური აზრი მთლად უნდა ჩამოეცალოს ამ საქმესა, რადგანაც პოლიტიკის თვალით საქმის გასინჯვა ჩვენის საზოგადოების საქმე არ არისო. ჩვენ ამ საქმეს უნდა მოვეკიდნეთ მარტო ეკონომიურის მხრით და მარტო ამ მხრით უნდა გამოვარკვიოთო.

შესდგომია რა ამ მხრით საქმის გამორკვევას, ბ-ნს ერმოლოვს უთქვამს, რომ მე თვითონ მინახავს და მისინჯავს ყაზახების მეურნეობა და დიდი ეჭვი მაქვს, რომ ესენი შავი-ზღვის პირებზე რაშიმე გამოსადეგნი იყვნენო სამეურნოდ და მიწის სამოქმედოდაო. ერთობ ეჭვი მაქვს, რომ ცარიელ ადგილების დასახლება [illegible] გონო და ჩვენმა ახალ-შენობის საქმემ ამათის დასახლებით იმარჯვოს და იხეიროსო.

თავ-მჯდომარეს ბ-ნს სოვეტოვს, მოუსმენია რა ესე ყოველი, წარმოუთქვამს, რომ ყაზახების უვარგისობა შავი-ზღვის პირის დასახლებისათვის წინადვეც არის დანახულიო, ამაზედ ეჭვი გამოითქვა ჯერ კიდევ 1870 წლის შემდეგს ხანებშიაო. რაც შეეხება მას, რომ რუსკაცს ერთობ ნიჭი და უნარი აქვს ახალ-შენობისა, ამას ჰმოწმობს მთელი ჩვენი ისტორია, თუმცა ზოგიერთნი ამ ნიჭსა და უნარს დღესაც უარ-ჰყოფენ. ამისი ცხოველი და ბრწყინვალე საბუთი ახალი ათონი არის, საცა რუსთა კრებულმა მოკლე ხანში ვერანა ადგილები გააცოცხლა და ააყვავაო. კამისია მეტად ცალ-კერძ მოეკიდა ამ საქმესა, რაკი მარტო ყაზახები იცნა და არა მთელი რუსობა გამოსადეგად ზღვის პირების დასახლებისათვისაო. ეს ნაკლი კამისიისა შევავსოთ და ეგრედ შევსებული დასკვნა კამისიისა ჩვენც მივიღოთო. მთელი კრება უკლებლად ამ აზრზედ დათანხმებულა.

რა თქმა უნდა, ამისთანა გადაწყვეტილება მოსალოდნელი იყო კრებულისაგან და თუ ჩვენ ეს ამბავი ასე ვრცლად ამოვწერეთ რუსულ გაზეთიდამ, მარტო იმისათვის, რომ ჩვენთან ერთად გაიკვირვოს მკითხველმა: სად დაიკარგა ხმა ბ-ნ იურიევიჩისა, ეროპკინისა, კოტელნიკოვისა, ეგუნოვისა და სხვათა?

## ახალი ამბავი

*** დიდ-მარხვამდე, როგორც შევიტყეთ, მხოლოდ სამი ქართული [illegible] იქნება. პირველი დანიშნულია ხვალისათვის (პარასკ., 19 თებერვალს) და ითამაშებენ ანტონოვის კომედიას—«მზის დაბნელება» და ვოდევილს, რომელშიაც უმთავრესი როლი აქვს ქ. საფაროვი-აბაშიძისას. «მზის დაბნელებაში» მიიღებენ მონაწილეობას რუსის არტისტებიც. მზის დაბნელების სცენას ახალი მოწყობილობა ექმნება.

*** ტფილისს ეხლა 33 «კრანი» აქვს მილის წყლისა. დღითი-დღე ხალხი ეჩვევა ამ წყლის ხმარებას და

---

# ფელეტონი

## სიმღერა

სად ხარ, ჩემო არწივო,
გულზედ ნისკარტი დამკარ,
გულიდამ სისხლი მადინე,
თვალიდამ ცრემლი ანკარა!
დავწუხდი ტირილისაგან,
ცრემლი არ მეკარებისა;
გული შაჭამა კარამმა,
არავის ებრალებისა!

ვაჟა-ფშაველა

## უშგულის აღწერა

(სვანთა ყოფა-ცხოვრებიდამ)

(შემდეგი*)

სვანის სახლი უშნო იქნებოდა, თუ რომ გვერდით ამართული არა ჰქონდეს 8—9 სართულიანი ლამაზი კოშკი. კოშკი ოთხ-კუთხიანი ქვის შენობაა; იმისი ერთი კედლის სიგანე 7—8 არშინამდეა ძირში, თავში-კი ცოტათი ნაკლებია. შიგნით კედლის სიგრძე $4^1/_2$ არშინია; კედლის სისქე-კი—$1^1/_2$ არშინი. გარეთაც და შიგნითაც კოშკი კირით არის შელესილი. კოშკი ერთი მეორეზე დადგმულ ოთახებად არის დაყოფილი; თითოეულს ოთახს ქვის თალი აქვს შეკრული. ძირი ოთახი კოშკისა იწოდება დილეგად, აქედამ იმის მნიშვნელობაც ცხადია. მეორე და მესამე სართულში ხშირად შეხვდებით ჩაკირულს ქვევრებს და კიდობნებს; ჩხუბის დროს, როდესაც მტრის შიშით ოჯახს გამოსასვლელი გზა შეკრული ჰქონდა, ქვევრებში წყალს ინახავდნენ და კიდობნებში დაფქვილს, რომ კოშკში დამწყვდეულნი მშიერ-მწყურვალი არ დახოცილიყვნენ. ერთის სართულიდამ მეორეში ხის კიბეები უდგია და იმათზე ლაიარებიან. თავში კოშკს ყურები (შდულვარ) აქვს გაკეთებული, რიცხვით მომეტებულად სამი და იშვიათად—ორი და ოთხი. ეს ყურები ისე უხდება კოშკს, როგორც ლამაზს ქალს ლამაზივე თავ-სახურავი. ყურებთან კოშკს ჭუჭრუტანები (სამცხვირ—амбразуры) აქვს, საიდგანაც ჩხუბის დროს სვანი თოფს ესროდა მტერსა. აქვე ზედა სართულში ჰყრია რიყის ქვა; ეს საჭირო იყო მაშინ, როდესაც მტერი კოშკის ძირს მოადგებოდა; თოფის ხმარება აქ არ ხერხდება, რადგანაც პირდაპირ ძირს ჭუჭრუტანიდამ თოფის სროლა მოუხერხებელია. აი მაშინ ამ რიყის ქვებს დაუშენდნენ მტერს კოშკის თავიდამ. კოშკს თითო სართულში თითო ფანჯარა აქვს, რომლის სიმაღლე $^1/_2$ ალაბია, სიგანე ძირში—$^1/_4$ და თავში—$^1/_6$ ალაბისა. კოშკი ორივეს მხრით ქვით არის დახურული. ეხლა სვანეთში კოშკს არავინ აშენებს და არც ახსოვთ, როდის უშენებიათ. ჩვენის ფიქრით-კი, სვანების კოშკები 400—500 წლისა მაინც უნდა იყოს. ერთი საერო სიმღერა, რომელიც XIV საუკუნეს ეკუთვნის, კოშკს იხსენიებს უშგულში.

არხიტექტურით და სიმაგრით კოშკი ბევრად სჯობნის სხვა ქვითკირის შენობებს სვანეთში. ეტყობა, სვანს ყველა თავისი ღონე—შეძლება კოშკისათვის მოუნდომებია, რომ იგი ერთსა და იმავე დროს ლამაზიც ყოფილიყო და მაგარიც. ცხადია, რომ სვანები იმ დროს, როდესაც ამდენი კოშკები აუშენებიათ, კარგს ეკონომიურს ყოფაში ყოფილან და ეს კარგი ყოფა, თუ დავერწმუნეთ ხალხის გარდმოცემას, სვანეთში მაშინ ყოფილა, როდესაც საქართველოში თამარი მეფობდა. ზევით ვამბობთ, რომ კოშკი მაგარი შენობააო; დასამტკიცებლად ჩვენის ნათქვამისა მოვიყვანთ რამდენსამე საბუთს. 1876 წელს, როდესაც მთავრობის წინააღმდეგობისათვის სოფ. ხალდე იქმნა დანგრეული, ჯარმა კოშკებს მთის ზარბაზნები დაუშინა დასანგრევად და სოფლის დასამორჩილებლად. ჩვენ დამსწრე ვიყავით ამ ამბავისა და უნდა ვსთქვათ, რომ ზარბაზნებმა სრულიად ვერაფერი ავნეს-რა კოშკებსა. როდესაც ჯარი სოფლად შევიდა, კოშკებს ლაღუმი მისცეს პირველად ერთს კედელში, მაგრამ როცა ამითაც კოშკი არ დაინგრა, მაშინ-კი ოთხსავე კედელში შეუკეთეს. როდესაც ოთხსავე კედელში შედებული ლაღუმი ერთს და იმავე დროს ააფეთქეს, მაშინ-კი კოშკი ძირიანად წამოიქცა და რამდენიმე მათგანი დაუნგრეველად წამოიშხლართა მიწაზე. მულახის საზოგადოებაში, სოფ. ზარდლაშის ახლო, ზედ გზასთან დღესაც არის წამოგორებული დაუნგრეველი კოშკი; ამისთვის სადგამ ადგილს ულალატნია, წამოქცეულა, მაგრამ დაცემის შემდეგ მიწაზე მთლად დარჩენილა.

მტრის მოგერების დროს გარდა კოშკი სხვაფრივაც გამოსადეგარია სვა-

*) იხ. ,,ივერია‘‘ № 35.

შემოსავალიცა ჰმატულობს. ყოველ კრანსა აქვს დახარჯულ წყლის საზომი მოწყობილობა. ეს მოწყობილობა გამართულია მიწაში. თუ საზომავი კარგია, ადვილად შეატყობს კაცი, რამდენი „ვედრო“ წყალი მიაქვთ ამა-და-ამ „კრანიდამა“, ასე რომ ქურდულად წყლის გაყიდვა ამ შემთხვევაში შეუძლებელია. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეხლანდელი საზომავები ვერ არის კარგის ღირსებისა და ღრმადაც არის გამართული მიწაში. ამიტომაცაო, ამბობენ, ქალაქის გამგეობა აპირებს გააკეთოს წყლის საზომავები უფრო უკეთესის ღირსებისა და მაღლაც ამოსწიოს, რომ ადვილი იყოს სინჯვა და თვალყურის დევნაო.

⁂ ვერაზე ეს მეორე თვეა გაჩენილა ქათმების ჭირი და სულ მუსრს ავლებს. მაგრამ ქათმებს ვინა სჩივის. ღარიბი ხალხი, შეატყობს თუ არა, რომ ქათამს ჭირი შეეყარაო, მაშინათვე ჰკლავს და საჭმელადა ჰხმარობს. ამბობენ, მიზეზიც ეს არის, რომ წელს ვერაზე ღარიბი ხალხი ხშირადა ჰხდება ავად და კიდეც იხოცებაო. ექიმებმა თურმე ჯერ არც-კი იციან ეს ამბავი. ხალხსაც ვერ გაუგია, რა ავადმყოფობაა ეს ქათმის ჭირიო. დილითა ჰხედვენ, რომ ქათამი საღად არის. შემდეგ, რაკი ჭირი შეეყრება, ქათამი გაჩერდება ერთს ადგილას, გალურჯდება, გაშავდება და ცოტა ხანში კიდეც გათავდება.

⁂ საგარეჯოს ბანკის გამო ჩვენ გუშინ-წინ დავბეჭდეთ ერთი ამბავი. დღეს კიდევ სხვა ამბავი მივიღეთ. აი ეს ამბავი: 2 თებერვალს კრება იყო დანიშნული გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის წევრთა. კრებაზე დაესწრო 30 კაცი, მაშინ-როდესაც ამხანაგობაში ითვლება სულ 600 წევრი. ამიტომ ეს კრება უკანონო კრებად იცნა ამხანაგობის გამგეობამ, მაგრამ კრებამ მაინც თავისი გარდაწყვეტილებანი დაადგინა და, თუმცა საქმეთა წარმოება კანონიერად სცნო, მაინც გამგეობის წევრნი ყველანი გამოსცვალა. გამგეობა, რასაკვირველია, არ დაემორჩილა ასეთს გარდაწყვეტილებას და დანიშნა კრება 22 თებერვლისათვის. გამგეობას გულითა ჰსურს, რომ ამ მომავალს კრებაზედ დაესწროს პოლიციის წარმომადგენელი და ამ სახით დაცულ იქმნას როგორც ინტერესები საგარეჯოს ბანკისა, ისე თვით ამხანაგობაში მონაწილე გლეხ-კაცობისა. როგორც ამბობენ, 2 თებერვლის კრება თითო-ოროლა ამხანაგის საქმე იყო; იმათ უნდოდათ უსათუოდ მომხდარიყო კრება და გამოეცვალათ გამგეობაო. ამ თითო-ოროლას მიემხრო აგრეთვე ერთი ამხანაგი სასულიერო წოდებისაცა და თავ-მჯდომარეობდა კიდეც ამ არა-კანონიერს კრებაზედაო.

⁂ ახალციხის მაზრიდამ გვწერენ, რომ სოფელ ტაძრისის მახლობლად ნასოფლარ «დაბაძველში», სადაც ყოველ ზამთრობით მუშაობენ და ტივის ხეს სჭრიან ბორჯომის საზოგადოების სოფელ ჭობიხევის გლეხები, მოხდა შემდეგი ამბავი: 8 თებერვალს სოფელ ჭობიხევის მცხოვრებლის თედო სარალიძის შვილი გათენებისას გავიდა გარეთ საქონლისათვის თივის მოსატანათა. დაბრუნდა უკან და შევიდა სახლში თუ არა ეს კაცი, შეჰყვა თურმე თან მგელიცა. როცა ყმაწვილმა მიჰხურა კარები, ამ დროს მგელმა სტაცა პირი ბარკალში ამ ყმაწვილს და დაჰგლიჯა. ყმაწვილის ყვირილზე გამოვარდა იქ მყოფი სტუმარი ჯავახი, იძრო ხანჯალი, მაგრამ შეუპოვარი ნადირი უცბად მივარდა სტუმარსაც მაჯაში და გაუყარა კბილები. გამწარებულმა სტუმარმა ინაცვლა ხანჯალი მეორე ხელში და მარდად გაავლო მგელს მუცელში. ამბობენ, რომ სწორედ ცოფიანი უნდა ყოფილიყო ეს მგელიო. დაჭრილნი ბორჯომში ჩაიყვანეს სამკურნალოდ.

⁂ გამომძიებელის ხოსროევის საქმე დანიშნული განსახილველად, როგორც შეუტყვია გაზ. „კავკაზს“, მაისში. მაისშივეა დანიშნული შემდეგი საყურადღებო საქმეები: საქმე თ. მიხეილ ერისთავისა, რომელსაც ჰბრალდება თავის უფლებათა აღმატება და სხვა დანაშაულობა; საქმე ტფილისის ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარეს ნამყოფის შანშიევისა, რომელსაც ჰბრალდება გაფლანგვა ობოლთა ფულისა, და საქმე მღვდელის არაქელ აზიხიანცისა, რომელსაც ჰბრალდება სიყალბე.

⁂ იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ რკინის გზის გამგეობას უნდა ახალი სადგური ააშენოს ბათუმშიო. სადგურის ასაშენებლად გადადებულია 120,000 მანათიო.

⁂ გაზ. «მწყემსი» ამბობს, რომ ჩვენის რედაქციის სტამბაში იბეჭდება არჩილ მეფის ლექსები და ჩქარა გამოვა გასასყიდლადაო.

⁂ ამავე გაზეთს შეუტყვია, რომ უწმინდესმა და უმართებულესმა სინოდმა მარტვილის საკრებულო ტაძარი პირველ ხარისხის მონასტრად დაამტკიცაო.

⁂ გაზეთი «ნორ-დარ»-ი ამბობს, რომ ტფილისში ჩქარა დაიწყებენ ბეჭდვას სომხურის ახალის ჟურნალისასაო. ამ ჟურნალს სახელად ერქმევა «მიტკ»-ი — «ფიქრი». ჟურნალის გამომცემლად ბ-ნი არშაკ ბაბიანია დანიშნული.

⁂ 16 თებერვალს პოლიციის მე-6 ნაწილის ბოქაულის ხელ-ქვეითს, ვალაბუევს, უნახავს ყალბი 25 მანათიანი. დამნაშავე გალაბუევს მაშინვე დაუპატიმრებია, იმისი სახლი გაუსინჯავს და უპოვნია 8 ცალი ყალბი 25 მანათიანივე, ფერადი წამლები და სხვა საჭირო იარაღი ყალბის ფულის საკეთებლად.

⁂ 16 თებერვალს მე-3 ნაწილში, გრაფის ქუჩაზედ, შაბუროვის სახლებში მცხოვრებელი თელავის მოქალაქე, სვიმონ დიმიტრის ძე ყაზახოვი, 21 წლისა, ჰშლიდა დამბაჩას, გაუფრთხილებლობით გაუვარდა და ტყვია მოჰხვდა მარჯვენა ფეხში, მუხლს ქვემოდ. ყაზახოვი სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი.

<>

## ავჭალის წყარო თუ მტკვრის წყალი?

სამედიცინო საზოგადოების კრება

16 თებერვალი.

როგორც მოგეხსენებათ, წინანდელს კრებაზე წაკითხული იქმნა კომისიის მოხსენება ავჭალისა და მტკვრის წლის ავ-კარგიანობაზე. კომისია, გარდა ერთის წევრისა, ბ-ნის ნ. ხუდადოვისა, უპირატესობას აძლევდა ავჭალის წყაროს. ბ-ნის ხუდადოვის აზრით-კი, საბუთი არ არის ავჭალის წყარო ვარჩიოთ მტკვრისას, რადგანაც სხვათა შორის ავჭალის წყარო შეიცავს ბევრს მინერალებსაო.

ამ კრებაზე საზოგადოებას ლაპარაკი ჰქონდა იმის შესახებ, თუ რამდენად სამართლიანია ხუდადოვის აზრი. კომისიის წევრებმა წაიკითხეს თავიანთი მოხსენება და ყველანი ერთ-ხმად უარჰყოფდნენ ბ-ნის ხუდადოვის აზრსა. ბბ. მალინინმა, რეიხმა, ბაბაევმა და მარტიშევიჩმა სხვა-და-სხვა მხრით გაარჩიეს ხუდადოვის აზრი და უარჰყვეს, ვითარცა დაუსაბუთებელი. სხვათა შორის კომისიის წევრებს ის აზრი მოჰყავდათ, რომ მრავალს ქალაქებში წყაროს წყლის მილით გაყვანის შემდეგ შესამჩნევად შემცირდა სიკვდილის სიხშირეო. მალინინი ამბობდა, რომ მას აქეთ, რაც ტფილისის ჯარები ავჭალის წყალს ჰხმარობენ, ძალიან იკლო ხურვებამაო. რეიხი ამტკიცებდა, რომ სხვა-და-სხვა გვარი მარილი, რომელიც ავჭალის წყალში იპოვება, მაინცა-და-მაინც მავნე არ იქნებაო; სხვა-და-სხვა ადგილას ჰხმარობენ ისეთს წყალს, რომელშიაც მეტი მარილია, ვიდრე ავჭალის წყალშიო, მაგრამ მკვიდრთა აგებულებაზე ცუდად არ მოქმედობს, რადგანაც ადამიანი ძალიან ეჩვევა ერთს რომელსამე წყალსაო. ბ-ნმა როტინიანცმა სთქვა, რომ ტყუილია, ვითომ მილი საკმაო წყალს არ იძლევა ქალაქისათვისაო; საქმე ის არის, რომ ზოგნი ყორღანოვის წყალსა ჰხმარობენ, ზოგნი მტკვრისას და ზოგნი დაბახანის წყალს სარეცხისათვისაო; მაშასადამე, მილის წყალი ჯერ-ჯერობით საკმარისიაო. აი დაახლოვებით დედა-აზრი კომისიისა.

ბ-ნმა გლოვაცკიმ მოიხსენია, რომ მართალია, იმ ქალაქებში, სადაც წყაროს წყალი გაიყვანეს მილითა, სიკვდილი შემცირდა, მაგრამ არც ისე შესამჩნევად, რომ საბუთი გვქონდეს ვსთქვათ, ვითომ ამ შემცირების მიზეზი მილის წყალი იყოსო. პირიქით, ისეთი მაგალითიც ყოფილა, რომ მილით წყაროს წყლის გაყვანის შემდეგ ძლიერი ხურვება გაჩენილა და სიკვდილიც გახშირებულაო.

ეს ლაპარაკი დიდხანს გაგრძელდა და ბოლოს თავ-მჯდომარემ სიტყვა დაუთმო ბ-ნს ხუდადოვს. ხუდადოვმა სთქვა: რადგანაც ძალიან გვიან არის და კომისიის წევრებმა თავ-თავიანთი აზრი დაწერილი წაიკითხეს, მეც საშუალება უნდა მომცეთ, რომ შესაფერად მოვემზადო, რათა ჯეროვანი პასუხი გავსცე კომისიის წევრებსა. ამიტომაც, თუ შეიძლება, კარგი იქნება ბაასი შემდეგისათვის გადაიდევას; თუ ეს მოსახერხებელი არ არის, მე არც დღეს ვარ უარზე და მზადა ვარ კომისიის წევრების აზრი გავარჩიოვო. კრებამ სთხოვა ხუდადოვს, რომ დღესვე ეთქვა თავისი პასუხი და ხუდადოვიც დასთანხმდა. ხუდადოვმა სთქვა, რომ ის გარემოება, ვითომ სიკვდილის სიხშირე კლებულობს იქ, სადაც წყაროს წყალი გაუყვანიათ მილითაო, ყურადღებაში მისაღები არ არის, რადგანაც სიკვდილის სიხშირე და სიმცირე დამოკიდებულია არა მარტო წყალზე, არამედ სხვა მრავალ გარემოებაზე, მაგალითად, სოციალურსა, ეკონომიურსა, პოლიტიკურსა და სხვებზეო; რაც შეეხება იმას, რომ ადამიანის აგებულება მალე ეჩვევა რომელსამე წყალს, თუნდაც ეს წყალი მაინცა-და-მაინც კარგის ღირსებისა არ იყოს და ბევრს მარილს შეიცავდესო, ის უნდა შევნიშნო, რომ თუ შეჩვევაზეა საქმე, მტკვრის წყალსაც ძალიან შეჩვეულნი ვართ და, მაშასადამე, მავნე არ უნდა იყოს. მალინინი ბრძანებს, რომ მას აქეთ, რაც ჯარისკაცები ავჭალის წყალს ჰხმარობენ, ხურვება შემცირდაო. ესეც საეჭვო არის, რადგანაც ნახევარზე მეტი მილის წყალში მტკვრის წყალი ურევია.

შემდეგ ილაპარაკა ბ-ნმა ალიბეგოვმა, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქიმიურს ანალიზს ავჭალის წყლისას. სხვათა შორის ალიბეგოვმა შენიშნა, რომ ავჭალის წყალი გაუსინჯავთ დეკემბერში, მაშინ-როდესაც ნიადაგი გაწმენდილი, ჩარეცხილი და სიცივისაგან შეკრულიაო; საჭირო იყო ზაფხულში გასინჯათ და, უეჭველია, მაშინ უფრო მეტი მარილი აღმოჩნდებოდაო.

ბ-ნმა იზმაილოვმა, ქალაქის თავის მოადგილემ, განაცხადა, რომ ჯერ-ჯერობით მილის წყალი ქალაქისათვის საკმარისია და იმ შემთხვევისათვის-კი, თუ მეტი წყალი იქმნა საჭირო, ქალაქს საშუალება აქვს კიდევ უფრო შორიდგან წამოიყვანოს წყალიო.

ღამის თორმეტი საათი იყო, როდესაც ბაასი დაასრულეს; ამიტომაც კრებამ ვერ მოასწრო საბოლოო

---

ნებისათვის. კოშკში ინახავენ სხვა-და-სხვა ხიბაკ-ხუბაკს, არაყს, ლორებს, ყველსა და ხორცს ზაფხულში სიგრილისათვის. რომელს მოსახლესაც კოშკი არ უდგია, იმას ბევრი რამ აკლია. ფასობაში კოშკი ერთი ნალჯომი (დღიური) ჰღირს, ე. ი. ერთი მესამედი სახლ-კარობისა.

კოშკების და სხვა ქვითკირის შენობების წყალობით უშგული ლამაზია, და ერთის შეხედვით ფაქიზიც არის; ხოლო როცა სოფლად შედიხართ, სულ სხვა სურათსა ჰხედავთ; ჰხედავთ, რომ სოფელში უწმინდურება არის, რომლის მიზეზად უნდა ჩაითვალოს «ლაჰუნწულაშ»-ი (სანეხვე). ჩვენ ვიცით, რომ უშგულელს პირუტყვი მთელს წელიწადს სახლში უბია. პირუტყვს ყოველ დღე ბინას უწმენდნენ, ნაკელს გარეთ ჰყრიან. ამ ნაირად მთელის წლის ნაკელი გროვდება ერთს ადგილას და ამ გვარი გროვა ნაკელისა ყოველს მოსახლობასა აქვს. ცხადია, რომ ეს ნაკელის გროვა გააბინძურებს სოფელს. ეს [illegible], მაგრამ ნეხვი ისეთი საჭიროება უშგულელისათვის, რომ უიმისოდ ცხოვრებაც შეუძლებელი იქნებოდა. თუ ნეხვი არ დააყარა ყანას — ნამუშავარი არ მოვა. მოდი და ამის შემდეგ უთხარი უშგულელს, სახლის ახლო ნუ ჰყრი ნაკელს, ყნოსვას მოგიწამლავსო.

ერთის მოგზაურისათვის ვილაცას განუმარტავს, თუ რამდენად საჭიროა უშგულელისათვის ნეხვი, და იმ მოგზაურს აი რა აზრი შეუდგენია: სვანებს ისე უყვართ ნეხვიო, რომ მზითვად აძლევენ ქალებსაო. ამისი გამოჯავრებული მეორე მოგზაური სრულიად უარ-ჰყოფს არა თუ ნეხვის მიცემას მზითვად, არამედ სრულიად ყოველს გვარს მზითევს. ღმერთმა მშვიდობა მისცეს ორივეს!.. სახლშიაც უწმინდურად სცხოვრობს უშგულელი და ან როგორ არ უნდა სცხოვრობდეს უწმინდურად, როდესაც პირუტყვებსა და პირმეტყველებს შუა 3—4 საჟენი-ღაა მარტო. ამას დაუმატეთ უშგულელის ქვეშსაგების უვარგისობა, უსუფთაობა და ადვილად წარმოიდგენთ უშგულელების სიწმინდე-სიფაქიზეს სახლში. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ავადმყოფობა ხშირი არ არის. იციან მღიერი, კბილის ტკივილი, თიაქარი, ჭია, ანთება და იშვიათად სახადი. სხვა გადამდები სნეულება უშგულში არაფერი იციან და ეს უნდა მიეწეროს კარგს ჰაერს, რომელიც აქ სწორედ სასწაულს სჩადის. სოფლის უწმინდურებაში სახლების ერთმანერთის ახლო დგომასაც წილი აქვს. ზოგიერთი სახლი ერთი მეორეზეა მიკრული; სადაც სახლები დაშორებული არის, იქ სახლსა და სახლს შუა მანძილი ერთს საჟენს არ აღემატება. ეს მანძილია ქუჩა; ქუჩები მიხვეულ-მოხვეულია.

უშგულში, როგორადაც სხვაგან სვანეთში, ჯოგები არ იციან. ამის მიზეზია ხანგრძლივი ზამთარი და თივის სამყოფად ვერ შენახვა, თორემ ზაფხულში უშგულის საბალახოები რამდენსამე ათი ათას პირუტყვს ჰყოფნის. მერე როგორი საბალახოებია? გაზაფხულდება თუ არა, უშგულელები მეწველ ძროხებსა და თხა-ცხვარს გარდა დანარჩენს პირუტყვს გარეკავენ საბალახოდ. პირუტყვი მთელი ზაფხული შემოდგომამდე თავის ანაბარაა გაშვებული. არც მწყემსი, არც არავითარი ყურისგდება არ ეჭირება. პირუტყვი დასეირნობს ერცელს მთა-მინდვრებში, და პატრონი მარტო შემოდგომაზე მოსძებნის, რომ საზამთროდ სახლში მირეკოს. ის უშგულელი ცალკე მოსახლობას ვერ გაჰბედავს, რომელსაც არა ჰყავს ერთი უღელი ხარი, ერთი ძროხა და სამი-ოთხი თხა-ცხვარი და ღორი. შეძლებულს ოჯახებს-კი ჰყავთ 10—12 ძროხა, ამდენივე ხარი, 2—3 ცხენი, 30 თხა-ცხვარი და 15—20 ღორი. ამაზე მეტის პირუტყვის შენახვა უჭირს მოსახლეს ზამთრობით. უშგულში ამ ჟამად ითვლება 165 საუღლე ხარი, 209 მეწველი ძროხა და 52 ცხენი. წვრილ ოთხ-ფეხზედ ცნობები ნამდვილად ვერ შევკრიბეთ. ქათამს ძვირად მოაშენებენ ხოლმე, მთელს საზოგადოებაში 40—50 ქათამი თუ იქნება, ისიც ბევრია. ჰაერის სიცივისა გამო კრუხი 20 კვერცხიდამ 6—10 წიწილსა სჩეკს. ინდოურის, ბატის და იხვის ხსენება აქ სულ არ არის. არ იციან აგრეთვე ჯორი და ვირი. მცოდნე კაცების სიტყვით, სვანური — და მაშასადამე უშგულისაც — საქონელი კარგის ჯიშისაა და კიდევაც მოსწონთ. ჩვენ-კი ამას ვიტყვით, რომ სილამაზით სვანურს საქონელს ჩრდილოეთ კავკასიის საქონელი სჯობია; ხოლო სვანური საქონელი ბევრად უფრო გამრჯეა და ხორცად უფრო გემრიელია.

უშგულელს ძლიერ უყვარს მოყვანილის ტანისა, მაღალ რქიანი და რუხე ფერის ხარი. უშგულის მეწველი ძროხა განთქმულია სვანეთში; კარგი ძროხა 6 ვერმუტის ბოთლს რძეს იძლევა დღეში; როგორც რიგია, ისეთი მოვლა რომ ჰქონდეს, რატომ 12 ბოთლს არ უნდა მოიწველდეს!. ხარ-ძროხის ტყავებს ზოგს ჰყიდიან ლაილაშსა და ონში ფართალზე, ზოგს ქალამნად იკერავენ. თხა-ცხვრის დახელილ ტყავებისას საზამთრო ქურქებს იკერავენ.

თავისუფალი სვანი

(შემდეგი იქნება)

აზრის დადგენა. კრებაზე საკმაოდ ბევრი ხალხი დაესწრო. ბაასი ძალიან გაცხარებული იყო.

ა. ს—ი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ზაქათალის მაზრა.** ზაქათალის მაზრაში ქურდობა და ავაზაკობა ძველს დროშიაც გავრცელებული ყოფილა, მაგრამ ისე-კი არა, როგორაც ეხლაა. «წარსულ წლის ბოლოს და ამ წლის დამდეგს ბევრი უბედურება მოხდაო, სწერს გაზ. «Кавказъ»-ი (№ 27), სოფლებშიაცა და თვით მაზრის ქალაქს ზაქათალაშიაცაო. წარსულს დეკემბერში ავაზაკებმა მოჰკლეს სოფ. ბელაქანში ისაიბრაგიმ-ოღლი და წაიღეს ათას თუმნამდე ფული. 16-ს, დღისით, შიგ ზაქათალის ბაზარში ტყვიით დასჭრა მქიმედ მაჰმედ-ასლან-ოღლიმ სპარსელი ბალა-ახმედ-ოღლი. მეორე დღეს, 17 იანვარს, ვასილ ტორაქოვმა მოჰკლა ხანჯლით ნუხელი სომეხი მიკირტიჩაო».

თუმცა გაზ. «Кавказъ»-ი სწერს, რომ ამ გვარ სამწუხარო ამბებმა თავი იჩინეს მხოლოდ წარსულს წლის ბოლოს და ამ წლის დასაწყისსაო, მაგრამ ეს მართალი არ არის. კაცის კვლელობა, სახლებისა და თავ-მოდგმულ ძნების დაწვა დაიწყო 1886 წლის ნახევრიდგან. მარტო შარშან სოფ. კახში მოჰკლეს შვიდი კაცი და ერთიც დაიკარგა უგზო-უკვლოდ. 1886 წლის პირველ ივნისიდგან 1887 წლის დეკემბრის 12-მდე დაიწვეს აგრეთვე 36 სახლი გლეხებისა ყოველის ქონებითა და კალოებზე დადგმული ძნები. ეს უბედურება გარდაჰხდა თავს მხოლოდ კახის მცხოვრებლებს, გაქრისტიანებულ ინგილოებს, რომლებიც შეადგენენ 308 მეკომურს. ერთი ამ სახლთაგანი დაიწვა 12 დეკემბერს, იმის შემდეგ, როცა 17 ნოემბერს «ივერიაში» დაბეჭდილი იყო, რომ მ. ლიაძეს ქადაგებითა და კახის ბოქაულის მეცადინეობით სახლების წვა მოისპოო. უკანასკნელად დამწვარის სახლის პატრონს მოუვიდა ზარალი სამას თუმნამდე.

რამდენი სახლი დაიწვა სხვა სოფლებში, რამდენი კაცი მოჰკლეს და გაცარცვეს, ან საქონელი დაიპარეს,— ამის შესახებ ჩვენ ნამდვილი ცნობები არ შეგვიკრებია, მაგრამ სოფ. კახის ზარალი-კი აღნუსხული გვაქვს: 308 კომლის ზარალს შეადგენს ერთის წლის განმავლობაში 13,993 მანეთზე არა ნაკლები. ამ გვარის უბედურებისა გამო ხალხი ისე გაღარიბდა, რომ 55 კომლს სახელმწიფო ხარჯის გარდახდა აღარ შეუძლიან და იმათ მაგივრად იხდიან სხვები. ასეთი ავაზაკობა თუ კიდევ გაგრძელდა, კახელებს რა მოემართებათ, ეს ღმერთმა უწყის. ამას შიშობენ გლეხნიცა. ისინი სწუხან და სჩივიან, რომ წინად ძალიან იშვიათი იყო სახლების წვა და კაცის კვლაო და ახლა-კი რა გვემართება, არ ვიცითო. ბევრს რასმეს ასახელებენ მიზეზად, ბევრს რასმეს მოაჰჳრებენ, მაგრამ მაინც ბეჯითად არავინ იცის ნამდვილი მიზეზი სოფლის ცხოვრების არევ-დარევისა. იმასაც-კი ამბობენ, რომ პატრონები თვითონვე სწვავენ სახლებსაო, რათა ჩალიან სახლების მაგიერ კრამიტით დახურული სახლები წამოსჭიმონო, და სხვა.

ცხადია, რომ ეს მითქმა-მოთქმა ტყუილი უნდა იყოს. არც ის მიზეზი არის ნამდვილი მიზეზი სახლების დაწვისა, რომელსაც ასახელებდა «ივერია»-ში სოფ. კახის ამბების მომწერი. ის ამბობს, რომ ძველის-ძველადგანვე კახელები ერთმანერთზე მტრულად არიან განაკიდებულნი და ჰყუპავენ ერთმანერთსაო. თუ მართლაც მტრობა ძველის-ძველადგანვე იყო, მაშ რატომ წინადაც არ უწვავდნენ კახელები სახლებს ერთმანერთსა ისე ხშირად, როგორც ეხლაა? ეხლა რად გაახშირეს იმათ ავკაცობა? უწინ სამ-ოთხ წლის განმავლობაში ერთისა და ორის სახლის დაწვის მაგალითიც იშვიათი იყო და ახლა-კი ერთ წელიწადს 308 კომლს კახში მცხოვრებთ დაეწვათ 36 სახლი თავისის ქონებითა და სარჩოთი. ამისი ნამდვილი მიზეზი, ჩემის აზრით, უნდა იყოს ის გარემოება, რომ მამასახლისებმა ვერ იპოვეს ვერც ერთი დამნაშავე. სახლები იწვის ვილაცეებისაგან ცეცხლის წაკიდებით, მამასახლისი ადგენს სიგელს და ამითი თავდება საქმე. ბოროტ საქმის ჩამდენთ, რასაკვირველია, უხარიანთ, რომ ვერ მიუგნიათ იმათთვის და დაუსჯელადა რჩებიან. რამდენიმე დამნაშავე მაინც არის უნდა აღმოჩნდეს, გადაჰხდეს კანონიერი სასჯელი, რომ ბოროტნი კაცნი აილაგმნენ.

დ. წინწაბური

**ქ. გორი.** ეხლანდელს დროში ვინც არა მგონია ჰკიდებს კალამს ხელსა, იმიტომ-კი არა, რომ მართალი სთქვას და სინათლე მოჰფინოს რომელსამე საგანსა, არამედ იმიტომ, რომ სიცრუე მოუგონოს, საზიზღარი ცილი დასწამოს ნიშანში ამოღებულს კაცსა და თავისი გესლი მოსცხოს. ამ გვარის ჯურის მჩხაბნელნი ძალიან გახშირდნენ, სამწუხაროდ, ჩვენს გორის მაზრაშიაცა. იმათს ხელში მწერლობა მაშკარეთია; რაკი ორიოდე სიტყვის მოხერხება უსწავლიათ, ჰგონიათ, რომ ქვეყანა ჩვენ დაგვრჩაო, და რაც უნდათ, იმას სჩხაბნიან; ვისაც ჰსურთ, იმას ესვრიან ტალახსა. ამ გვარი მჩხაბნელი მწერალი დიდად მოზარალეა და ამიტომ გაზეთი ძალიან გაფრთხილებული უნდა იყოს, რათა ასცდეს ამ გვარს მჩხაბნელებსა და წმინდად გამოვიდეს საზოგადოების წინაშე.

ეს ლაპარაკი იმ მოწერილ ამბავის გამო ჩამოვაგდე, რომელიც გორიდგან მოეწერათ და დაბეჭდილი იყო ამ წლის «ივერიის» მე-23 №-ში. ავტორი წერილისა საშინლად სწუხს და მოგვითხრობს თავის თავად შეთხზულს ამბავსა: თ. ა—მა კინაღამ ამოჰქლიტა მაყრები იმიტომ-რომ, როგორ თუ გამიბედეთ თქვენთან ღვინის სმაო!!! ადამიანი სწორედ დასაბმელი გიჟი უნდა იყოს, რომ ასეთი საქმე ჩაიდინოს. ნოეს აქეთ, რაც ღვინო გაჩნდა ქვეყანაზედ. ასეთს ამბავს არავინ ჩაიდენდა, მერე ქართველი კაცი, რომელსაც ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ადამიანის პატივის-ცემა, მეფე-დედოფლის დალოცვა და მათთან თავაზიანად მოქცევა. რა სათქმელია, კაცმა არა დაგიშავოს-რა, არა თუ დაგიშავოს, პატივი გცეს, ღვინო მოგაწოდოს, გთხოვოს — ჯამლოცეო, და ამის ნაცვლად ისეთი უშვერი სიტყვა-პასუხი მიიღო, როგორსაც გვწერს გორელი მოამბე «ივერიის» მე-23 №-ში. ტყუილს მაშინვე შეეტყობა. აქ მაშინვე ყველას ეჭვი შეუვიდა ამ ამბავის გამო და მოეისურვეთ ნამდვილის გაგება. აი ნამდვილი ამბავიცა:

კარალელმა კაცმა ტინიხიდელი ქალი შეირთო; წამოვიდნენ სოფლისაკენ. მაყრები სადა სთხოვდნენ ა—ს ღვინის დალევას, როდესაც გამომგზავრებულან კიდეცა. გლეხებს მაყრებს ძალიან გაუკრავთ. სოფ. ოთარშენის პირდაპირ დიდ-ლიახვზე ფეხის ხიდია; ამ ხიდზე უნდა გაეიდნენ მაყრები. მისულან ხიდზე; ამ დროს ა—ის მეცხვარეს თურმე ცხვარი ზედ ხიდზე უყენია და მოუდის. მეცხვარემ დაუძახა თურმე, რომ დამაცადეთ, ცხვარი გავიყვანოვო. ბახუს ნამთხვევმა მაყრებმა ყურადღებაც არ მიაქციეს, შემოდგნენ ხიდზე, გააფრთხეს ცხვარი და ლიახვში სულ ცოტა სამოცი სული ცხვარი ჩავარდა, სულ მაკე ცხვარი; ამათში ზოგი გაბერწდა და დანარჩენი თურმე დაიხოცა. გულზედ ცეცხლ-მოკიდებულს მწყემსს, რომელსაც ცხვარში წილი უდევს, სისხლი ყელში მიებჯინა და შეებრძოლა მაყრებს. ვისთვისაც დაუკრავს ჩომბახი, ფეხზედ აღარ დაუყენებია. ხმაურობაზე ა—ს სახლიდგან, რომელიც იქვე ახლოა, ბიჭები მოჰშველებიან ძალიან ნაცემსა და ნატყებს მეცხვარესა. ამ დროს მოიჭრა გიორგი ა—ი, რომელიც წისქვილთან ყინულს აჩეხინებდა; ჰნახა, რომ ამოდენა ცხვარი სიცივით თახთახებს, ყინულის ლოლუები დაჰკიდებია ზედ, მეცხვარისათვის ცხვირ-პირი ჩაუმტვრევიათ; რასაკვირველია, არ მოიწონებდა და ამანაც ხელი გამოიღო მწყემსის დასახსნელად. ორი მაყარია მსუბუქად დაჭრილი თავში; რევოლვერით არავინ არის დაჭრილი, რადგანაც არავისათვის არ უსროლნიათ. ეს ამბავი, რომელსაც ვიწერები, შევამოწმე, ე. ი. ვკითხე გორის სასამართლოს გამომძიებელსა და პოლიციის ბოქაულს, ბ-ნს დავრ—სა. ამათ ორივემ დამარწმუნეს, რომ სრულიად ისე არა ყოფილა საქმე, როგორც «ივერიის» მე-23 №-შია მოთხრობილიო, და საქმე იყო მხოლოდ ისე, როგორც გაცნობებთ. მოამბეს ყური მოუკრავს, თავი აღარ შეუწუხებია და ნამდვილის მაგიერ თავისით შეთხზული ამბავი მოუწერია.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ბალფური ირლანდიის საქმეთა სეკრეტარია და პარნელის გაზეთში ხშირ-ხშირად მოხვდება ხოლმე ამასაც, როგორც სალისბურის სამინისტროს წევრსა და მომხრეს. ამ დღეებში ერთს საპარლამენტო კრებაზე ბალფურმა სთქვა: «პატივცემულმა ჯენტლმენმა ო'ბრიენმა გუშინ სიტყვა წარმოსთქვა და მისაყვედურა, რომ შურის-ძიებით ვეძებვი ვითომ ჩემს მოწინააღმდეგეებს პოლიტიკაში. ამ შურის-ძიებასაო, სთქვა გუშინდელმა ორატორმა, ქალებისებურს შურის-ძიებას ვუწოდებდი, მაგრამ იმისი მერიდება, რომ ეს ვერავითარი თავაზიანობა ჩემის მხრით მშვენიერთა სქესისათვისაო (ამაზე ირლანდიელმა დეპუტატებმა ტაში დაჰკრეს). რასაკვირველია,— განაგრძო ბალფურმა, ასეთი საყვედური დიდი საყვედურია, მაგრამ პატივცემულ ო'ბრიენის გაზეთში ისეთი ლანძღვა-გინებას მინახავს ჩემი, რომ ეგ საყვედური შაქარი და შარბათია. აბა რაღად ვიტყოდი ამის შემდეგ, რომ ო'ბრიენის მაშინდელმა ლაპარაკმა ბაიბრუობა მომაყენა-მეთქი, როდესაც მაგის გაზეთის ლანძღვა-გინებას ყური შევაჩვიე და აღარც-კი არასა ვგრძნობ? ჩემზედ სწერდა მაგის გაზეთი, რომ ვითომ „ჩემს დასაჭურისებულს ტვინსა და გონებას მხოლოდ გაცის-კვლის აზრი-და ებადება“ (მოისმა სიცილი და ხარხარი). იმავე გაზეთში სწერდნენ, რომ ვითომ მე ვსტკბები, როცა ჩემი მოყვასი ტანჯვაშია, რომ ვითომ ჩემს საზიზღარს ცხოვრებაში ეგ უცნაური გულის-თქმა დიდი წყაროა ნეტარებისა ჩემთვის.

«პატივცემული ო'ბრიენი საყვედურს მეუბნება, რომ ციხეში ცუდად მეპყრობოდნენო. ეს ტყუილია. ციხიდამ გამოსვლის შემდეგ ო'ბრიენმა ორ გირვანქაზე მეტი მოიმატა წონაში». აქ სიტყვა გააწყვეტინა ო'ბრიენმა ბალფურს და სთქვა, რომ რაც ციხეში ვიყავ, ხუთი გირვანქა მეტი დამაკლდა წონაშიო.

— ბატონებო, თუ ჩემი არა გჯერათ, სთქვა პასუხად ბალფურმა: მე წარმოვუდგენ პალატას იმ სიას, რომელიც ყოველ დღე იწერებოდა და რომელშიაც ინიშნებოდა, თუ ან რა ემატებოდა, ან რა აკლდებოდა წონაში პატივცემულს ჯენტლმენსაო.

**ოსმალეთი.** სტამბოლიდამ მოდის ამბავიო,— სწერენ გაზეთები, რომ ოსმალეთის მთავრობა შეურიგდა აჭარს სომხობასაო, უკვე გაანთავისუფლეს ყველა სომხები, რომელნიც ამას წინად შეიპყრეს. ამას გარდა ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა გააუქმოს ის კანონი, რომლის ძალითაც მოსპო სასკოლო კომიტეტები. გაუქმებულის სკოლების დამართვის ნება მისცა კვლავ და უფრო ამას გარდა სომეხთ სკოლების მმართველ საზოგადოებას ნება მისცა წელსაც გაჰმართოს თავის სკოლების სასარგებლოდ ბალი, როგორც გაუმართნია წინადაც. თვით ხონთქარმა ინება მფარველობა ამ ბალისა, რაც წინად არას დროს არ მომხდარა, და უბოძა სასკოლო კომიტეტს 150 ლირა.

**იტალია.** «ჟურნალ დე-დებას» სწერენ რომიდამ, რომ იტალიის ზღვათა არსენალებში გაცხარებული მუშაობაა. აწგენენ სიას ყველა იმ საავჭრო გემებისას, რომელიც გამოდგება სამხედრო გემადაო. გაზეთი «Tribuna» ამბობს, რომ ლივორნოს ზღვათა აკადემიას ებრძანა, გააუქმეთ დაუყოვნებლივ უკანასკნელი კურსი აკადემიისა და 30 სტუდენტი ამ კურსისა დაამწესეთ იმ გემებზე, რომელიც მზადდება საომრადაო.

## წვრილი ამბები

— ნავარაში ამას წინად მიწის-ძვრა ყოფილა 18 წამის განმავლობაში.

— გაზ. «Berl. Börs. Cour.»-ი ამბობს, რომ მთავრობისაგან ბრძანება გამოვიდა გვარდიის რაზმთა ოფიცრებმა წლეულს ბალებზე არ უნდა იაროსო.

— „France militaire“ სწერს, რომ გერმანიაში არსებობს ოფიცერთა ამხანაგობა, რომელნიც თავის საზოგადოების წევრებს ყველა საგნებს დაკლებულ ფასად უშოვნიან ხოლმე. ამ საზოგადოებას საფრანგეთშიაც-კი ჰყავს თავისი აგენტებიო. გაზეთს მოჰყავს ერთის გერმანელ ოფიცრის დღიურიდგან სია საფრანგეთის იმ სასტუმროებისა, სადაც გერმანიის ოფიცრებს დაკლებულ ფასად უთმობენ ყველაფერსაო.

— ამას წინად ლონდონის ქუჩებში ხალხის მანიფესტაცია იყო და ინგლისის გაზეთებს მოჰყავთ რიცხვი, თუ რამდენს კაცს მიუღია მონაწილეობა მანიფესტაციაში. «Pall-Mall Gazette»-ი ამბობს, რომ ეს რიცხვი გაზეთის მიმართულების კვალობაზე ხან მატულობს და ხან კლებულობსო. მაგალითებრ, «Morning Post»-ი ამბობს 6 ათასი კაცი იყოო, «Times»-ი—25 ათასი კაციო, «Standard»-ი—45 ათასიო, „Daily Chronicle“-ი—50 ათასიო, „Daily Telegraph“-ი—55 ათასიო, «Daily News»-ი-კი ამბობს, რომ მონაწილეობა მანიფესტაციაში 70 ათასმა კაცმა მიიღოვო. ახლა რომელი მართალს ამბობს და რომელი ტყუილს, ეშმაკიც ვერ გაიგებს!

— პარიჟში მიუგნიათ ერთის ავაზაკთა ბრბოსათვის, რომელშიაც თითქმის სულ მცირე-წლოვანი ყმაწვილები იღებდნენ თურმე მონაწილეობას. ამ ბრბოს წევრთა უმეტესი ნაწილი უკვე დაპატიმრებიათ. ამ პატარა ავაზაკებს მთელი წესდება ჰქონიათ შედგენილი. ბრბოს მეთაურად ყოფილა 15 წლის ბიჭი, რომელიც, თავის ნამდვილის სახელის—დიუპიუს მაგიერ, ვიდოკს იწოდებოდა. ამ ავაზაკებს ს.-დენის მინდორზედ ორმო ამოუთხრიათ, იქ ინახავდნენ ნაპარავს და ბოლოს ნახევარ ფასად ჰყიდდნენ ვაჭრებზე. თითოეულს ამ მცირე-წლოვან ავაზაკს თავისი საყვარელი ჰყავდა. დაპატიმრებულ 15 ყმაწვილთა შორის ყველაზედ უფროსი წლოვანებით 16 წლისაა. ამ თხუთმეტში თორმეტი ერთხელ უკვე ყოფილა სამართალში მიცემული ქურდობისათვის.

— აი ერთი-ორიოდე ამბავი ოსმალეთის სასახლის ცხოვრებიდგან. ერთ საკვირველ ჩვეულებათაგანი ოსმალეთის სასახლისა სხვათა შორის ის არის, რომ სულთანებს არა აქვთ ნება თავისი ტანისამოსი და საცვალი ერთს დღეზე მეტად ატარონ. ხონთქარი თავის უდიდებულესობას დიდად შეურაცხჰყოფდა, იმათის აზრით, რასაკვირველია,— რომ გუშინდელი ტანისამოსი, მაგალითებრ, დღესაც [illegible] ფეხებამდე. ამ ჩვეულებით სარგებლობენ მსახურები და ამიტომაც ყოველთვის მშვენივრად არიან ხოლმე ჩაცმულები. მაგალითებრ, თერძი მისის უდიდებულესობისა ყოველ წელიწადს ჰკრავს 365 სერთუკს, ამდენსავე შალვარსა და ჟილეტს. სხვა ჩვეულებანი, რომელსაც მისდევენ სულთანის სასახლეში, ნამდვილ უბედურებად უნდა ჩაითვალოს მდაბიო ხალხისათვის. საქმე იმაში გახლავთ, რომ სტამბოლის სულთნის ჰარამხანაში ყველაფერი თავის დროზედ, ერთხელვე დანიშნულს საათსა და წუთზედ კეთდება. დგებიან დილით, იბანებენ, სადილობენ, სეირნობენ და ან მხიარულობენ ერთსა და იმავე დროს ყოველ დღე, ამ წესისა და რიგის შეშლა შეუძლებელია. ერთის ჩვეულებით, მაგალითებრ, სასახლის ქალებში არავის არა აქვს ნება შალი წამოისხას და თუღუფი ჩაიცვას, სულთანის მეუღლეთა გარდა. ყველა მოსამსახურე ქალები სუბუქად უნდა იყვნენ ჩაცმულნი. ასეთი ჩვეულება თუ კარგია ზაფხულობით, ზამთარში მეტად სასიამოვნო არ უნდა იყოს, ვგონებთ, ცალიერს კაბაში [illegible], რადგან ძალიან ადვილად შეიძლება გაცივება და ავად გახდომა.

## დეპეშა

15 თებერვალი

**პეტერბურგი.** დღეს ბერლინში კიდევ დაფოლდა რუსეთის ქაღალდებისა და ასიგნაციების ფასი; ამიტომაც პეტერბურგის ბირჟაზედაც ძალიან დაიწია ვექსილის კურსმა: 10 გირვანქა სტერლინგში იძლეოდნენ 123 მანეთს., ას გერმანულ მარკაში—60 მ. 40 კ., ას ფრანკში—48 მ.

60 კ. სახელმწიფო ფონდები და საადგილ-მამულო ფასიანი ქაღალდები არა ჰკარგავენ თავიანთს ღირებულობას; რკინის გზის აქციებმა-კი ფასში ძალიან დაიწია.

ის ხმა, რომელიც ბირჟაზე გავრცელდა, ვითომ რუსეთისბანკს დიდი ზარალი მიეცაო, გარდა მეტებულია; წარსულის წლის დივიდენდი არ მიეცემათ, ხოლო ზარალის შესავსებლად გადაიდე ბაერთი წილი სათადარიგო თანხისა.

**ხარკოვი.** სამოსამართლო პალატამ განიხილა კუპიონის მაზრის თხუთმეტის გლეხის საქმე, რომლებსაც ჰბრალდებოდათ, ვითომ ურჩობა და წინააღმდეგობა გაეწიათ მთავრობისათვის. სასამართლომ ხუთს მათგანს მიუსაჯა საპყრობილეში დამწყვდევა ორის თვიდგან ოთხ თვემდე და დანარჩენი-კი გაამართლა.

16 თებერვალი

**ლონდონი.** ,,Times‘‘-ი ამბობს: პეტერბურგის კაბინეთმა შეუთვალა პასუხად ინგლისსა და იტალიას, როცა ეს სახელმწიფონი შეეკითხნენ ბოლგარიის საქმის გამო, —რომ ჩვენ არას გზით არ მოვიწონებთ ბოლგარიის მთავრად ისეთს კაცს, რომელიც სარწმუნოებით კათოლიკე იქნებაო.

**პეშტი.** ,,Pester Lloyd‘‘-ში დაბეჭდილია წერილი ბოლგარიიდამ. წერილის დამწერი ამტკიცებს, რომ თავის დროზე ავსტრი-ვენგრიას ჯილდოდ მიეცა ნება ბოსნია-ჰერცოგოვინა დაეჭირა, რადგან ავსტრი-ვენგრია შეეწია მაშინ რუსეთს და იმისი გავლენა დაამკვიდრა ჩრდილოეთ ბოლგარიაშიო; ეხლა-კი, როცა აღმოსავლეთი რუმელია შეუერთდა ბოლგარიას, რუსეთის გავლენის ხელ-ახლად აღდგენა ბოლგარიაში იმისი ნიშანი იქმნება, რომ ეს გავლენა გავრცელდება ბალკანიის მთებს იქითაც. ამიტომ, თუ ასე მოხდება, სხვა შესაბამი ჯილდოც უნდა მიეცესო.

**ამსტერდამი.** გუშინ გარდაიცვალა ობერ-გოფმეისტერინა უმაღლესის კარისა, ქ-ნი კოჩუბეისა.

**პეტერბურგი, 17** თებერვალი. ბანკი, რომელსაც ჰქვიან ,,**Русскій для внѣшней торговли банкъ**‘‘, აცხადებს, რომ ყველა ზარალი, რომელიც გამოიწვია კურსის დაწევამ, დავფარეთ, ყველა საეჭვო მუხლი აქტივისა გავასწორეთ და მაინც სრულებით თავისუფალი კიდევ ოცი მილიონი გვაქვსო. გარდა ამისა თავისუფალია აგრეთვე ერთი წილი თავნისა და ოქროს ფულის მოვალეობათაგან გაუნაღდებელი არა გვრჩება-რაო.

**ვენა.** რუსეთის ელჩი ლობანოვ-როსტოვსკი მალე პეტერბურგს წავა.

როგორც ბერლინის ცნობებიდამა სჩანს, იქა ჰგონიათ, რომ რუსეთი კიდევ რამე წინადადებას მისცემს ევროპას შესახებ ბოლგარიისა და იმედი აქვთ, რომ ავსტრიაც მხარს დაუჭერსო.

პეტერბურგის ბირჟა 16 თებერვ.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთმანათიანი ოქრო . | — ,, | — ,, | 10 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | 197 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . . . | — ,, | — ,, | 1 38 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . . | — ,, | — ,, | 250 |
| — მეორისა. . . . . | — ,, | — ,, | $234^3/_4$ |
| გირავნობ. ფურცელნი | | | |
| ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩუპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7396**.

ძველი ინდიქტიონი მე 14, ამისი ქორონიკონი—უჰ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადები—25.

თებერვალი 29 დღით არის

18 დღე ხუთშაბათი. წმ. ლეონისა, რომის პაპისა, და სხ. კათოლ. ეპ. სილვაღისა. სომეხ. 150 მამა-მთავართა. მუსულ. მე-17 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12. ტფილისში მზე ამოდის 6—34, ჩადის 5—12. მთვარე 19 დღისაა.

19 დღე პარასკევი. მოც. არხიპისა და ფილიმონისა. კათოლ. გობინისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-18 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12. ტფილისში მზე ამოდის 6—32, ჩადის 5—53. მთვარე 12 დღისაა.


## განცხადებანი

ქ. გორში, სობოროს ქუჩაზედ,

გაიღო

ქართულის წიგნის მაღაზია.

ყველა წიგნის გამომცემელს შეუძლიან გამომიგზავნოს თავისი გამოცემა ჩვეულებრივის კომისიითა.

(5—3) კონსტანტინე ცხვედაძე

კავკას. სამეურნეო საზოგადოების საბაღოსნო სკოლაში

(მუშტაიდის გვერდზე)

ისყიდება სხვა-და-სხვა ხეხილი და სადეკორაციო მცენარენი. ვისაც ჰსურს სია ანუ პრეისკურანტი გასასყიდის ხეხილისა, უსასყიდლოდ გაეგზავნება. (10—1)

КАКАО БЕЗЪ МАСЛА
С. СІУ и К°
(50—10)


# ბ ა ლ ა ნ ს ი

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა, 1 იანვრისათვის 1888 წლისა.

### აქტივი

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ნაღდი ფული კასაში. . . . . . . . . . . | 35.028 | 05 | | |
| გირაოს ფურცლები . . . . . . . . . . | 71.300 | — | 106.328 | 05 |
| 2) მიმდინარე ანგარიშებზე: | | | | |
| ა) სახელმწიფო და კერძო ბანკებში. | 23.717 | 98 | | |
| ბ) კორრესპონდენტებთან. . . . . . . . | 54.728 | 40 | 78.446 | 38 |
| 3) მიბარებულობა: | | | | |
| ა) საწევრო ფული ტფილისის ურთიერთ შორის ნდობის საზოგადოებაში. . . . . . . . . . . . . . . . . | — | — | 60 | 57 |
| 4) ბანკის სარგებლიანი ქაღალდები: | | | | |
| ა) სახელმწიფო და მთავრობის გარანტიის ქაღალდები, შენახულნი სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში 207.900. . . . . . . . | 197.511 | 86 | | |
| ბ) სხვა სარგებლიანი ქაღალდები 100.500. . . . . . . . . . . . . . . . | 97.341 | 66 | | |
| % იმათი. . . . . . . . . . . . . . . . | 1.447 | 50 | 296.301 | 02 |
| 5) დიდ-ვადიანი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 28 მაისის 1884 წ. წესდების ძალით: | | | | |
| ა) მამულის გირაოზე $54^1/_2$ წლით. | 427.200 | — | | |
| ბ) მამულის გირაოზე $43^1/_2$ წ. . . . | 332.800 | — | | |
| გ) ქალაქის უძრავ ქონებაზე გირაოდ $27^1/_2$ წლით. . . . . . . . . . . . . . . | 400.200 | — | | |
| დ) ქალაქის უძრავს ქონებაზედ გირაოდ 18 წლით და 7 თვით. . . . | 4.200 | — | 1.164.400 | — |
| 6) დიდ ვადიანი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 17 თებერვლის 1881 წ. წესდების ძალით გირაოდ მიღებულს მამულზედ ურთიერთ შორის თავდებობის ქვეშ: | | | | |
| ა) მამულის გირაოზე $43^1/_2$ წლით. | 1.410.500 | — | | |
| ბ) ქალაქის უძრავ მამულის გირავნობაზე $27^1/_2$ წლით . . . . . . . . . . . . | 3.285.300 | — | 4.695.800 | — |
| 7) სესხნი, რომელნიც გასაცემად არიან დანიშნულნი: | | | | |
| ა) მამულის გირაოზე $43^1/_2$ წლით. | — | — | | |
| ბ) ქალაქის უძრავ ქონებაზე $27^1/_2$ წ. | — | — | | |
| 8) გადასახადი, რომელსაც ჰქონდა შეღავათი (§ 13 წესდებისა): | | | | |
| ა) დიდ-ვადიან სესხზე. . . . . . . . . . . | 214.795 | 45 | | |
| ბ) მცირე-ვადიან სესხზე. . . . . . . . . | 2.409 | 55 | 217.205 | — |
| 9) ვადა-გასული შემოსატანი ფული. | — | — | 32.103 | 86 |
| 10) მცირე-ვადიანი სესხნი . . . . . . . . | — | — | 155.281 | — |
| 11) გირაოს ფურცლები საკომისიოდ მიღებულნი . . . . . . . . . . . . . . . . . | — | — | — | — |
| 12) დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . . . | — | — | 169.149 | 45 |
| 13) კუპონები, ვადის გასვლამდის გადახდილნი . . . . . . . . . . . . . . . . . | — | — | — | — |
| 14) ხარჯი: | | | | |
| ა) ბანკის მოწყობისათვის. . . . . . . . | — | — | 3.405 | 10 |
| **ბალანსი** | | | 6.918.480 | 43 |

### პასივი

| | მან. | კ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ძირის ფული: | | | | |
| ა) დიდ-ვადიანის სესხისათვის. . . . . | 183.896 | 17 | | |
| ბ) მცირე-ვადიანის სესხისათვის. . . . | 143.790 | 23 | 327.686 | 40 |
| 2) სათადარიგო თანხა: | | | | |
| ა) სესხისა, რომელიც გაცემულია 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით. . . . . . . . . . . . . . . . . . . | 24.312 | 74 | | |
| ბ) ურთიერთ შორის თავდებობით გაცემულ სესხისა . . . . . . . . . . . . . | 36.585 | 61 | 60.898 | 35 |
| 3) თანხა საზოგადო საჭიროებისათვის. | — | — | | |
| 4) ზედამხედველის კომიტეტის ხელშია. | — | — | 131 | — |
| 5) საყოველ-შემთხვევო თანხა. . . . . . | — | — | 1.771 | 93 |
| 6) გირაოს ფურცლები დასახურდავებლად გაცემულნი 28 მაისის 1874 წლით წესდების ძალით: | | | | |
| $54^1/_2$ წლით . . . . . . . . . . . . . . . . | 427.200 | — | | |
| $43^1/_2$ » . . . . . . . . . . . . . . . . | 332.800 | — | | |
| $27^1/_2$ » . . . . . . . . . . . . . . . . | 400.200 | — | | |
| 18 წ. და 7 თვით . . . . . . . | 4.200 | — | 1.164.400 | — |
| 7) გირაოს ფურცლები, რომელნიც გამოცემულნი არიან ურთიერთ შორის თავდებობით გირაოდ მიღებულ უძრავ ქონებათა: | | | | |
| $43^1/_2$ წლით . . . . . . . . . . . . . . . . | 1.396.800 | — | | |
| $27^1/_2$ » . . . . . . . . . . . . . . . . | 3.271.550 | — | 4.668.350 | — |
| 8) გირაოს ფურცლები, ტირაჟში გამოსულნი იმ ჯამისა, რა ჯამიც წესდების 89 § ძალით გადადებული იყო არა-ვალდებულის თავნის გადახდისათვის . . . . . . . . . . . . . . | — | — | 27.450 | — |
| 9) გირაოს ფურცლები, გამოსაცემად დანიშნულნი: | | | | |
| $43^1/_2$ წლით . . . . . . . . . . . . . . . . | — | — | | |
| $27^1/_2$ » . . . . . . . . . . . . . . . . | — | — | | |
| 10) გირაოს ფურცლები მობარებულნი. | — | — | 23.000 | — |
| 11) მოსასპობლად დანიშნულნი სესხნი: | | | | |
| ა) გირაოს ფურცლებით . . . . . . . . . . | 30.000 | — | | |
| ბ) ნაღდის ფულით . . . . . . . . . . . . . | 917 | 64 | 30.917 | 64 |
| 12) ტირაჟში გამოსული გირაოს ფურცლები ჯერ წარმოუდგენელნი გადასახდელად . . . . . . . . . . . . . | — | — | 115.100 | — |
| 13) გირაოს ფურცლების გადასახადი კუპონები . . . . . . . . . . . . . . . . . . . | — | — | 184.150 | 99 |
| 14) სარგებლის ფონდი . . . . . . . . . . . | — | — | 175.140 | 93 |
| 15) თავნის გასასტუმრებელი ფონდი: | | | | |
| $54^1/_2$ წლით . . . . . . . . . . . . . . . . | 1.056 | 04 | | |
| $43^1/_2$ » . . . . . . . . . . . . . . . . | 1.608 | 82 | | |
| $27^1/_2$ » . . . . . . . . . . . . . . . . | 7.240 | 09 | | |
| 18 წ. და 7 თვით . . . . . . . . . . | 264 | 41 | 10.169 | 36 |
| 16) თავნის გასასტუმრებელი ფონდი ურთიერთ შორის თავდებობით: | | | | |
| $43^1/_2$ წლით . . . . . . . . . . . . . . . . | 4.680 | 47 | | |
| $27^1/_2$ » . . . . . . . . . . . . . . . . | 35.719 | 73 | 40.400 | 20 |
| 17) თავნის გასასტუმრებელი ფული არა სავალდებულო გადასახდელად იმ გირაოს ფურცლებისა, რომელნიც საურთიერთ შორის თავდებობის პირობით არიან გამოცემულნი. | — | — | 158 | 19 |
| 18) გარდამავალნი ჯამნი: | | | | |
| ა) ნაღდის ფულისა . . . . . . . . . . . . . | 17.953 | 19 | | |
| ბ) გირაოს ფურცლებით . . . . . . . . . . | 18.300 | — | | |
| გ) სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდები . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 500 | — | 36.753 | 19 |
| 19) კორრესპონდენტები . . . . . . . . . . | — | — | 414 | 88 |
| 20) მსესხებელნი . . . . . . . . . . . . . . . | | | | |
| 21) ნაღდი მოგება იყო . . . . . . . . . . . | 53.182 | 86 | | |
| გამოირიცხება 3% გადასახადისა. . . | 1.595 | 49 | 51.587 | 37 |
| **ბალანსი** | | | 6.918.480 | 43 |

თავ-მჯდომარე ბანკის მმართველობისა თ. ი. გ. ჭავჭავაძე

მმართველობის წევრნი: თ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი; თ. ი. გ. მაჩაბელი

ბუხჰალტერი ქ. ხაჩატურიანი

Доз. цен. Тиф., 17 февраля 1888 г. Типографія А. А. Михельсона, Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე